

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №198
2014 წლის 30 ივნისი

ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ, 172, 31.12.2010, 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

2. 61-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი, ან/და თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას. ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოს უფროსი.“;

ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი ან ექსპერტის/აუდიტორის დასკვნა საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, ხოლო, თავდებობის გამოყენების შემთხვევაში ამ წესის №29¹ დანართის შესაბამისი განცხადება, რომელსაც უნდა ერთოდეს ამავე წესის 65² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი.“.

3. 65¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების, ასევე, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად, ამ წესის 65² მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობას, განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო.“.

4. 65² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დაზღვევის პოლისი.“.

5. დანართი 29¹ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



განცხადება

თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე

1. _____ 2. _____

(გადასახადის გადამხდელის დასახელება /სახელი და გვარი)

(გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

3. _____ 4. _____

(თავდების დასახელება/ სახელი და გვარი)

(თავდების საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

5. _____

(თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანი (საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება/ საგადასახადო დავის მიმდინარეობა))

6. _____

(თანხის ოდენობა (ციფრებით და სიტყვიერად), რაზედაც ფორმდება თავდებობის ხელშეკრულება)

7. _____ 8. _____

(გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა)

(თავდების ხელმოწერა)

9. _____ 20__ წ. „

რიცხვი

თვე

წელი

6. 75-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით.“.

7. მე-80 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამართალდამრღვევი პირის თხოვნით, სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად 77-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაცვლად შესაძლებელია სამართალდამრღვევი პირის მიერ სხვა გარანტიის (თავდებობა, საბანკო გარანტიის, დაზღვევის პოლისის ან სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტის შეტანის თაობაზე ცნობის) წარდგენა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

